# საარსებო შემწეობა საქართველოში (2017-2021)

Research

## ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

*გამოცემა #134 31.03.2022*

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ბოლო მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ საქართველოს მოსახლეობის 21.3% ცხოვრობს[1]. საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილის მხარდასაჭერად სახელმწიფოს დანერგილი აქვს სხვადასხვა სოციალური დახმარების სერვისები, მათ შორის საარსებო შემწეობაც. საარსებო შემწეობის პროგრამა ფინანსურად ეხმარება ყველაზე ღარიბ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 120 001-ზე ნაკლებია. სარეიტინგო ქულას განსაზღვრავს სოციალური მომსახურების სააგენტო და ის ასახავს ოჯახის შემოსავალსა და ქონებას. რაც უფრო დაბალია ქულა, მით უფრო ღარიბია ოჯახი[2]. კვლევები მიუთითებს[3], რომ პროგრამა ბენეფიციარებს არ ეხმარება სიღარიბის დაძლევაში და პირიქით, ხელს უწყობს მათ შეინარჩუნონ დაბალი შემოსავალი შემწეობის მისაღებად. საქართველოს მთავრობა უახლოეს მომავალში გეგმავს პროგრამის მნიშვნელოვან რეფორმირებას[4]. დაგეგმილი რეფორმის მიხედვით, პირდაპირ ფულით დახმარების ნაცვლად, ბენეფიციარებს შესთავაზებენ დასაქმებას, რომ ამ გზით გაიჩინონ შემოსავლის წყარო. სანამ პროგრამის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდება, გადავწყვიტეთ, გაგვეანალიზებინა საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის დინამიკა და სტრუქტურა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.




წყარო: საქსტატი, სოციალური მომსახურების სააგენტო

საქართველოში ყველა ოჯახს შეუძლია, დარეგისტრირდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს პლატფორმაზე და მოითხოვოს საარსებო შემწეობა. რეგისტრირებული ოჯახებისა და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების დინამიკა 2017 წლიდან 2019 წლამდე შემცირდა (რეგისტრირებული ოჯახები 326 ათასიდან 308 ათასამდე და შემწეობის მიმღები ოჯახები 132 ათასიდან 120 ათასამდე). თუმცა, 2019 წლიდან 2021 წლამდე რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა 14%-ით გაიზარდა და 351 ათასი შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები - 46%-ით და 174 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში რეგისტრირებულ ოჯახებს შორის საშუალოდ 42% იღებდა საარსებო შემწეობას.

შესაბამისად, 2017 წლიდან 2019 წლამდე შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა 450 ათასიდან 441 ათასამდე შემცირდა, 2019 წლიდან 2021 წლამდე კი 33%-ით გაიზარდა და 588 ათასი შეადგინა. გაანალიზებულ პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი კი 12%-დან 16%-მდე გაიზარდა.

საარსებო შემწეობის მიმღებთა გაზრდილი რაოდენობა 2020 და 2021 წლებში დიდწილად კოვიდ-19-ითა და ოჯახების შემოსავლების შემდგომი შემცირებით იყო გამოწვეული. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივნისიდან სარეიტინგო ქულების სიას დაემატა ახალი ქულების კატეგორია - 100001-120000, რამაც გავლენა იქონია 2021 წლის გაზრდილ სტატისტიკაზეც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საარსებო შემწეობის ოდენობა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულებზე. რაც უფრო დაბალია ქულა, უფრო დაუცველია ოჯახი, ხოლო შემწეობა უფრო მაღალია ოჯახის თითოეულ წევრზე[5].

სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის დინამიკა და განაწილება ცხადყოფს, რომ გაანალიზებულ პერიოდში ადამიანების უმეტესობა პირველ ორ ყველაზე დაბალ ჯგუფში ხვდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ორი ჯგუფის წილი თანდათან მცირდება. მაგალითად, 2017 წელს 57000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულის წილი 70% იყო, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი 11 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 59% შეადგინა.

ამავდროულად, სხვა კატეგორიების წილი მცირედით გაიზარდა. გაანალიზებულ პერიოდში ყველაზე შესამჩნევად, 4 პროცენტული პუნქტით, გაიზარდა 70001-100000 კატეგორიის წილი და 20% შეადგინა.




წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

| საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების წილი რეგიონების მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რეგიონი** | **2017** | **2018** | **2019** | **2020** | **2021** |
| **თბილისი** | 9.0% | 8.7% | 7.6% | 9.6% | 11.2% |
| **აჭარა** | 10.4% | 10.1% | 11.3% | 14.0% | 18.6% |
| **გურია** | 13.4% | 13.0% | 13.6% | 16.0% | 19.5% |
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | 41.3% | 43.7% | 39.2% | 45.4% | 47.3% |
| **კახეთი** | 15.0% | 13.6% | 11.7% | 14.6% | 17.2% |
| **იმერეთი** | 11.3% | 10.7% | 9.2% | 11.2% | 13.4% |
| **მცხეთა მთიანეთი** | 17.7% | 16.6% | 13.8% | 16.8% | 18.7% |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | 13.6% | 14.4% | 15.8% | 18.3% | 21.0% |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 7.6% | 7.3% | 7.1% | 8.4% | 11.1% |
| **ქვემო ქართლი** | 10.9% | 11.1% | 11.3% | 14.6% | 18.3% |
| **შიდა ქართლი** | 16.7% | 15.8% | 13.8% | 16.5% | 19.3% |

საარსებო შემწეობის მიმღებთა სტრუქტურის უფრო ფართო სურათის მისაღებად მნიშვნელოვანია რეგიონულ დონეზე შემწეობის მიმღები ოჯახების დინამიკის გაანალიზება.

2017 წლიდან 2019 წლამდე აჭარის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის გარდა, დანარჩენ რეგიონებში, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების წილი ოჯახების საერთო რაოდენობაში შემცირდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან 2021 წლამდე შემწეობის მიმღები ოჯახების წილი ყველა რეგიონში გაიზარდა. ყველაზე შემსამჩნევი ზრდა დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (8.1 პროცენტული პუნქტი), ყველაზე მცირე - თბილისში (3.6 პროცენტული პუნქტით).

საერთო ჯამში, გაანალიზებულ პერიოდში, შემწეობის მიმღები ოჯახების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (43.4%), მცხეთა-მთიანეთსა (16.7%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (16.6%), ხოლო ყველაზე დაბალი დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში (8.3%), თბილისსა (9.2%) და იმერეთში (11.2%).

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
2. http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=35&lang_id=GEO
3. https://www.unicef.org/georgia/media/1216/file/Mapping.pdf
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/31702408.html




წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სოციალური პროგრამების ხარჯები თანდათან გაიზარდა (3.3 მილიარდი ლარიდან 6 მილიარდ ლარამდე). შესაბამისად, გაანალიზებულ პერიოდში ასევე, გაიზარდა სოციალური პროგრამების ხარჯების წილი მთლიანი ბიუჯეტის ხარჯებში, 35%-დან 42%-მდე.

სოციალური პროგრამების ხარჯების ზრდასთან ერთად, გაანალიზებულ პერიოდში ასევე, გაიზარდა საარსებო შემწეობის ხარჯებიც 258 მილიონი ლარიდან 441 მილიონ ლარამდე. საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 15% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში, საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე დაბალი რაოდენობა 2019 წელს დაფიქსირდა. თუმცა, 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს საარსებო შემწეობის ხარჯები 27%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა გამოიწვია საარსებო შემწეობის საფინანსო პაკეტის მთლიანმა ზრდამ.

გაანალიზებულ პერიოდში საარსებო შემწეობის წილი სოციალური პროგრამების ხარჯებში 6.3%-დან 8.1%-მდე მერყეობდა.




წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, საქსტატი

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, შეცვალოს საარსებო შემწეობის პროგრამის სტრუქტურა და ბენეფიციარებს შესთავაზოს დასაქმების შესაძლებლობები უშუალოდ ფინანსური დახმარების ნაცვლად. ამიტომ აუცილებელია საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის სტრუქტურის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბენეფიციართა შორის შრომისუნარიანი ადამიანების რაოდენობის დასადგენად.

2017 წლიდან 2021 წლამდე შემწეობის მიმღები მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა, გაანალიზებულ პერიოდში 0-18 ასაკობრივი ჯგუფის წილი გაიზარდა 3.5 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 36%, ხოლო დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების წილი ოდნავ შემცირდა.

საშუალოდ, გაანალიზებულ პერიოდში, საარსებო შემწეობის მიმღებ მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკობრივი ჯგუფების (19-40 და 41-65 ასაკობრივი ჯგუფების) წილმა შეადგინა 52%, რაც საშუალოდ შეადგენს 250 ათას ადამიანს. შესაბამისად, თუ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა პროგრამის რეფორმირება და ამ ოჯახებისთვის სამუშაო ადგილების შეთავაზება, დაახლოებით 250 ათასი ახალი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას.




წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, ფინანსთა სამინისტრო

როგორც ზემოთ აღინიშნა, საარსებო შემწეობის პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის ძირითადი სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ფინანსური დახმარების უზრუნველყოფას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთ ოჯახზე საარსებო შემწეობის საშუალო ოდენობის საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმთან შედარება. ეს უკანასკნელი ასახავს იმ მინიმალურ თანხას, რომელიც საჭიროა საქართველოში საშუალო ოჯახის აუცილებელი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

2017 წლიდან 2021 წლამდე საშუალო თვიური საარსებო შემწეობა ერთ ოჯახზე 163 ლარიდან 211 ლარამდე გაიზარდა, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი - 286 ლარიდან 334 ლარამდე.

ამ მაჩვენებლების შედარება ცხადყოფს, რომ გაანალიზებულ პერიოდში საშუალო თვიური საარსებო მინიმუმი საშუალოდ 62%-ით აღემატება საშუალო თვიურ საარსებო შემწეობას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლიდან 2021 წლამდე გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა. ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის მთავარი მიზეზი კოვიდ-19 კრიზისი და პანდემიის გამო მრავალი ოჯახისთვის შემოსავლების შემცირება წარმოადგენს. დამატებით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა განაპირობა 2021 წელს ახალი სარეიტინგო ქულების კატეგორიის შემოღებამ. იმ მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომელიც იღებს შემწეობას, პროგრამის ხარჯებიც თანდათან იზრდება. პროგრამის ხარჯების ზრდა, ბენეფიციარების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ასევე, განაპირობა 2019 წლიდან ერთ ოჯახზე საშუალო საარსებო შემწეობის ზრდამაც. მიუხედავად ერთ ოჯახზე საშუალო საარსებო შემწეობის ზრდისა, 2021 წელს საშუალოდ საარსებო შემწეობა ერთი ოჯახისთვის 59%-ით ნაკლები იყო, ვიდრე საარსებო მინიმუმი საშუალო ოჯახისთვის.

5. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - 50 ლარით; 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - 40 ლარით; 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - 30 ლარით; 100001 ნაკლები, 16 წლამდე ასაკის ოჯახის ყველა წევრის ფასმარება განისაზღვრება 100 ლარით. http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=35&lang_idGE

| ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები | 2020 | 2021 I კვ. | 2021 II კვ. | 2021 III კვ. | 2021 IV კვ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი) | 15 888.1* | 3 402.3* | 4 663.4* | 5 126.6* | 5 513.2* |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 4 274.6* | 912.5* | 1 282.7* | 1 375.0* | 1 478.6* |
| მშპ-ს რეალური ზრდა (%) | -6.2%* | -4.5%* | 28.9* | 9.1* | 8.8* |
| ინფლაცია | 5.2% | 4.5% | 8.3% | 12.3% | 13.0% |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) | 572.0 | 132.2* | 297,7.0* | 299.0* | 411.3* |
| უმუშევრობის დონე (%) | 18.5% | 21.9% | 22.1% | 18.5% | 20.6% |
| სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი) | 7 535 | 7 721 | 8 017 | 7 729 | - |
| სიღარიბის დონე (ფარდობითი) | 19.7% | - | - | - | - |

*წინასწარი

# სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

**სოფო ბასილიძე**
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

**ნიკოლოზ ბაქრაძე**
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com